



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოჯორიანი მარიამ პეტრეს ასული

მოჯორიანი მარიამ პეტრეს ასული (5. VI. 1904, ლენინაკანი, ახლანდ. გიუმრი, – 12. X. 1972, თბილისი), სომეხი მსახიობი. საქართვე. სახ. არტისტი (1958). 1920-იდან გამოდიოდა წითელი არმიის ნაწილების წინაშე. ლენინაკანის (დღ. გიუმრი) სახელმწ. თეატრში შეასრულა წამყვანი როლები: მარგარეტი, სუსანი, სონა (ა. შირვანზადეს „ღირსებისთვის“, „ნამუსი“, „ბოროტი სული“), ლარისა (ა. ოსტროვსკის „უმზითვო“), ამალია, ლუიზა (ფ. შილერის „ყაჩაღები“, „ვერაგობა და სიყვარული“), დებდემონა, ოფელია, ლედი მაკბეტი (უ. შექსპირის „ოთელო“, „ჰამლეტი“, „მაკბეტი“). 1923–26 და 1928–70 იყო თბილ. სომხ. თეატრის მსახიობი, სადაც შეასრულა ივდიითის (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“), მარია ანტონოვნას (ნ. გოგოლის „რევიზორი“), ეფემერას, ნატალიას, ანანოს (გ. სუნდუკიანის „პეპო“, „ხათაბალა“, „კიდევ ერთი მსხვერპლი“), ტატიანას, ნატალიას (მ. გორკის „მტრები“, „ფსკერზე“), დებდემონას, ოფელიას (უ. შექსპირის „ოთელო“, „ჰამლეტი“), ნენოს (ს. შანშიაშვილის „არსენა“) და სხვ. როლები.
